ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2022 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში

2022 წელში ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ, განხორციელებული იქნა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:

დასრულების ფაზაშია მუნიციპალიტეტის 5 წლიანი (2023-2027) ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის მომზადება. ტერიტორიულ ერთეულებში შემავალ სოფლებში 5 წლის განმავლობაში განსახორციელები ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. (გზების, ხიდების, ადმინისტარციული შენობების, კლუბების, ამბულატორიების, სკოლების, საბავშვო ბაღების, სპორტული ობიექტების, სასაფლაოების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები).

სამსახური ახორციელებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისთვის საჭირო სტატისტიკურ ინფორმაციის შეგროვებას. ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის კუთხით მოპოვებულია და აღრიცხულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე 2022 წლის ჩათვლით სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნულიდან გამომდინარე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხდეს მოსაკრებლების მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, როგორც ადგილობრივი შემოსავლების შევსების ერთ-ერთი წყარო.

გარკვეული სამუშაოები იქნა გაწეული ტურიზმის განვითარების კუთხით:

აღსანიშნავია, რომ ხელი მოეწერა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და ხრუბეშოვის (პოლონეთი) მუნიციპალიტეტებს შორის „მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმს". მემორანდუმი ორ მუნიციპალიტეტს შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა" ფარგლებში, ასოციაცია „ქართული სახლის" მიერ პროექტის - „აღმოაჩინე გურია" ფარგლებში მოხდა ურთიერთთანამშრომლობა სამომავლო პერსპექტივაში.

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობისსაზოგადოებას“(GIZ) შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს ტურიზმის მდგრადიგანვითარების მხარდაჭერის მიზნით, გაიმართა ტრენინგი **„ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა“**. აღნიშნულმა ტრენინგებმა, ხელი
შეუწყო რეგიონებში კონკურენტუნარიანი მომსახურებების განვითარებასა და ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

ტრენინგის ძირითადი თემატიკები:

- ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ჰიგიენის ნორმები;
- რეცხვა-დეზინფექციის პროცედურა;
- სურსათის უვნებლობა;
- ალერგენების მართვა;
- სამუშაო ინსტრუქციები;
- საკანონმდებლო მოთხოვნები.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ტურისტული კომპანიებისა და მედიასაშუალებებისთვის ინფო-ტური განახორციელა გურიაში, კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. ტურის ორგანიზატორები იყვნენ ადმინისტრაცია და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). აღნიშნულ ტურში მონაწილეობდნენ ქართული ტურისტული კომპანიებისა და მედიის წარმომადგენლები, ფოტოგრაფები და ბლოგერები, რომლებიც შეირჩნენ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, „Gitoa” - საქართველოს შემომყვან ტურ ოპერატორთა ასოციაციის, “GTA” - საქართველოს ტურიზმის ასოციაციისა და ეკო-ტურიზმის ასოციაციის მიერ. მოინახულეს ბუკისციხეში - შარაშიძის მარანი, დენდროლოგიური პარკი - სოფ. გორაბერეჟოულში და სკიჯის სახლი სოფ. ხიდისთავში. შეიქმნა აღნიშნული ობიექტების ტურისტული პაკეტი, რომელიც შეთავაზებულ იქნება, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი სტუმრებისთვის.

მოხდა ხელშეწყობა და გადამზადდა საოჯახო სასტუმროს მეპატრონეები და მეწარმეები - ტრენინგების სერია ელექტრონული ვაჭრობა, მეწარმეობა და ბიზნეს გეგმის შედგენა.

შეიქმნა გვერდი, სადაც განთავსებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ღირშესანიშნაობები თავისი განმარტებებით. ეტაპობრივად მიმდინარეობს ფოტო მასალის განახლება.

შეიქმნა სამ ენოვანი ბუკლეტი, სადაც განთავსებულია სოფ. გორაბერეჟოულის ერისთავების ციხის შესახებ ინფორმაცია და დენდროლოგიურ პარკში არსებული ეგზოტი ხეების ჩამონათვალი.

ასევე შეიქმნა სამენოვანი ბუკლეტი, სადაც განთავსებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების შესახებ ინფორმაცია.

მასპინძლობა გაეწია დამეგობრებული ქვეყნიდან (პოლონეთი)სტუმრებს და გავუწიეთ გიდობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ტურისტულ ობიექტებზე, კერძოდ გორაბერეჟოულის ციხე-დარბაზი და დენდროლოგიური პარკი, ნაბეღლავი და ბახმარო.

მომზადდა წერილი, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მქონე საფორტიფიკაციო ნაგებობების კონსერვაცია/რესტავრაცია და ფუნქციური რევიტალიზაციის მოკვლევასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაციები და ფოტო მასალა გადაგზავნილ იქნა პარლამენტში.

სამსახურის მიერ მოხდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მარშრუტების რუკის და ტურისტულად ღირსშესანიშნავი ობიექტების მასალების შეგროვება და დასურათება. (ამ ეტაპისთვის დასრულებულია და ჩაშვებულია დასაბეჭდად). აღნიშნული პროდუქტი განთავსდება ორ ობიექტზე (ლაითბოქსში)

მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია ტურიზმის დეპარტამენტთან ჩოხატაურის რუკის განახლებასა და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. (ახალი ობიექტების შეტანასთან დაკავშირებით)

მომზადდა და გაეგზავნა წერილი პარლამენტს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

• მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების გეგმა;

• მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩამონათვალი 2021-2022 წლებში;

• მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა-გზამკვლევი ან/და ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ცნობარი.

მოკვლეულ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გეოგრაფიული პუნქტებისა და გეოგრაფიული ობიექტების (სოფლის, დაბის, სხვა დასახლებული პუნქტის, მდინარის, ხევის, კანიონის, სამონასტრო კომპლექსის, ნაკრძალისა და სხვ.) აღმნიშვნელი საგზაო წარწერების ქართული და უცხოენოვანი ტექსტები და გადაეგზავნა სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს.

2022 წელში საინვესტიციო გარემოს განვითარების კუთხით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

,,საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების 2020-2022 წლების პროგრამის ფარგლებში მომზადდა და დაფინანსდა სამი პროექტი:

,,საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების 2020-2022 წლების პროგრამის ფარგლებში განყოფილების მიერ მომზადდა და დაფინანსდა სამი პროექტი, ესენია:

1. „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით“.

2. „სოფელ ამაღლებაში ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოვებისთვის“.

3. „ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობა ჩოხატაურის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის შექმნის მიზნით“.

ამ პერიოდში მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან IOM. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოს 12 სამიზნე მუნიციპალიტეტში, მათ შორის ჩოხატაურში, ახორციელებს პროექტს მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება - პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში, რომელიც დაფინანსებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განვითარების ფონდისა (IDF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

პროექტის ფარგლებში სხვა აქტივობებთან ერთად გათვალისწინებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ და საჭიროების მიხედვით შესაბამის უწყებაში მიზნობრივი გადამისამართება.

მათთან თანამშრომლობის საფუძველზე ჩვენს განყოფილებაში „შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვის ცენტრი”, სადაც გადამზადდა ჩვენი განყოფილების ერთი და ასევე

ადმინისტრაციული სამსახურის ერთი თანამშრომელი. განყოფილების თანამშრომელმა საანგარიშო პერიოდში კონსულტაცია გაეწია 15 მოქალაქეს.

განყოფილება აქტიურად იყო ჩართული გაეროს განვთარების ფონდიასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივ პროექტში, - „ბუკისციხეში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შექმნის გზით თემის აღორძინების ხელშეწყობა“.

მეწარმეობის განვითარებისა და მხარდამჭერ პროექტებში განყოფილების მიერ პროექტების მომზადებაში კონსულტაცია და დახმარება გაეწია 4 პიროვნებას.

განყოფილება აქტიურად არის ჩართული პოლონეთის სოლიდარობის ფონდის ინიციატივით შექმნილ “ფონდების მოძიების აკადემია” -ში. ამ პერიოდში აკადემიაში განყოფილების ყველა თანამშრომელმა გაიარა 4 სასწავლო კურსი, რის შედეგადაც მოამზადა 3 პროექტი. ეს პროექტებია:

1. „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“ .

კონცეფციის განაცხადი ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ლოტი 3: ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ფარგლებში.

პროექტის საერთო მიზანია:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორცილება, განახლებადი ენერგიის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარება საზოგადოების სამი სექტორის (მთავრობა, ბიზნესი, CSO) ჩართულობით.

კონკრეტული მიზნებია:

- SO#1 - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 6 საბავშვო ბაღში და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების სრული იმპლემენტაცია.

- SO#2 - მცირე საგრანტო პროგრამების განხორციელება განახლებადი ენერგიის წყაროების პოპულარიზაცია ინპლემენტაციისთვის.

- SO#3 - საზოგადოების ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, ენერგოეფექტურობის შესახებ.

• SO # 4 - ადგილობრივი თვითმმართველობის, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის რეინვესტირების მექანიზმების შემუშავება.

პროექტის ღირებულებაა 772117 000 ევრო, აქედან მუნიციპალიტეტის კონტრიბუცია შეადგენს: 52000 ევროს. პროექტის ხანგრძლივობა გათვლილი 3 წელზე (30 თვე).

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის თანააპლიკანტებია ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესის სახლი“ და პოლონეთის სახელმწიფო ხაზინის ფონდი „სოლიდარობის ფონდი PL“

კონცეფციის განაცხადდმა მიიღო დადებითი შეფასება საგრანტო ევროკომისიისგან, რის შედეგადაც საშუალება მოგვეცა შეგვემუშავებინა და წარგვედგინა აღნიშნული საგრანტო პროექტის სრული განაცხადი.

2. . ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ხელი მოაწერა პარტნიორობის განზრახვის წერილს

ბიალა რავსკას მუნიციპალიტეტთან პოლონეთის დახმარების (Polish Aid-პოლონური განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ბრენდი, რომელიც ხორციელდება განვითარებად ქვეყნებში და ასევე უზრუნველყოფს პოლონური საზოგადოების ინფორმირებულობას ამ აქტივობების შესახებ) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროექტით გურიის ხილი: „ადგილობრივი მმართველობის მოდელები სოფლის მეწარმეობის მხარდასაჭერად: ბიალა რავსკა - ჩოხატაური“, რომელსაც წაუძღვება და წარადგენს ბიალა რავსკის მუნიციპალიტეტი, პოლონეთი და რომელიც უნდა განხორციელდეს 2022 წელს.

პროექტის მთავარი მიზანია გურიის რეგიონის სოფლების განვითარების ხელშეწყობა მდგრადი, ინტეგრირებული კულინარიული, კულინარიულ ტურისტული კულტურისა სტიმულირებისა და ხილის გადამუშავების გზით და შესაბამისად ჩოხატაურში ადგილობრივი მიკროპროდიუსერების, მებაღეების და მცირე ფერმერების შემოსავლის გამომუშავების ხელშეწყობა სრულად მოქმედი, ინოვაციური, გურიის ხილის გადამამუშავებელი ცენტრის მეშვეობით.

საგრანტო კონკურსის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 3 000 000 ზლოტს (2 100 000 ლარი)

მუნიციპალიტეტის ფინანსური თანამონაწილეობა არ მოითხოვება. პროექტი ამ ეტაპზე განხილვის პროცესშია.

3. **განყოფილებამ შეიმუშავა ევროკავშირის EU4Youth (ევროპა ახალგაზრდებისთვის) პროგრამის III ეტაპის - ახალგაზრდების დასაქმება და მეწარმეობა:** „ახალგაზრდების დასაქმებისა და სოციალური

ცვლილებების ხელშეწყობა სოციალური მეწარმეობის მეშვეობით“ ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი საპროექტო წინადადება

საგრანტო პროექტი წარდგენილი იქნა ლოტი 2 - ის ფარგლებში რომლის მიზანია: სოციალური მეწარმეობის და კარიერის მენეჯმენტის უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდული მეწარმეობის ხელშეწყობასთან მწვანე და ციფრული ეკონომიკის სფეროებში და მასთან დაკავშირებული ქსელებისა და პარტნიორობის მხარდაჭერა.

პროექტის გულისხმობს:

- ფართო საინფორმაციო კამპანია, რაც მოიცავს: შეხვედრებს სამიზნო ჯგუფებთა, სოციალური და ტრადიციული ადგილობრივი მედიის გამოყენება ინფორმირებულობის კუთხით
- გამოვლენილი მუნიციპალიტეტის 18 – 29 წლის ასაკის 40-50 დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის გაიმართება ტრეინინგები და ვორქშოპები მწვანე და ციფრული ეკონომიკის სფეროებში სოციალური მეწარმეობის, შესაძლებლობების ამაღლების და კარიერის მენეჯმენტის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის და დაკავშირებული ქსელებისა და პარტნიორობის შექმნის ხელშეწყობისთვის. მოწვეული ადგილობრივი ან მოწვეული პარტნიორი ქვეყნის ტრენერების მიერ ჩატარდება 5 ტრეინინგი მწვანე და 5 ტრეინინგი ციფრული ეკონომიკის სფეროში სამიზნე ჯგუფებისთვის და 2 ტრეინინგი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის. ტრეინიგების მსვლელობისას ტრენერების მიერ შეირჩევა 2 ახალგაზრდა ტრენერებად გდამზადების მიზნით და მათთვის ჩატარდება დამატებითი ტრინინგები. გადამზადებული ახალგაზრდა ტრენერები გაუძღვებიან ახალგაზრდული ჰაბის ფუნქციონირებას.
- ევრკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კარგი პრაქტიკის გაზიარება. თრეინინგების თემატიკა უნდა იყოს პროექტების წერის, ორგანიზაციის მართვის, საწარმოს სტრუქტურის, ფინანსური მართვის და მენეჯმენტის მიმართულებით.
- ახალგაზრდული სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად, სამიზნე ჯგუფებისთვის გამოცხადდება იდეების საგრანტო კონკურსი მწვანე და ციფრული ეკონომიკის სფეროებში 1-3 სოციალური საწარმოს შესაქმნელად. კუნკურშში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ, როგორც ინდივიდუალურ ასევე ჯგუფებად გაერთიანებულ ახალგაზრდებს.
- საგრანტო კონკურსში გამარჯვებბული ავტორის/ების, პარტნიორ ქვეყნებში საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის მიზნით ვიზიტი.

საგრანტო დაფინანსების მინიმალური თანხაა 800000 ევრო, ხოლო მაქსიმალური 1 000 000 ევრო, სადაც მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა უნდა იყოს მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 10%. **აღნიშნულმა პროექტმა ვერ მოიპოვა დაფინანსება**

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღეთ **იაპონიის საელჩოს** მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომელიც მიზნად ისახავდა თოვლის საწმენდი, სანიაღვრე და სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკის მიღებას გრანტის სახით. მაღალი კონკურსის გამო პროექტი ვერ გადავიდა ფინალურ ფაზაში.

მაღალმთიანი დასახლების საბჭო - საანგარისო პერიოდში ჩატარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების საბჭოს 5 სხდომა, რის შედეგადაც 27 სტატუსის მაძიებელს მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მონაწილეობს პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივ პროექტში“ საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა და მეწარმეობის განვითარება“ რომლის მიზანია ინვესტიციების სფეროში საპილოტე, ინტეგრირებული განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის მომზადება თვითმმართველობებისა და რეგიონული ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის. პროექტს ახორციელებს პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტრო და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო პროექტის დონორია: პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. აღნიშნული პროქტი სამი წლიანია (2021-2023 წწ) და მოიცავს შესაბამისი ტრეინინგების ჩატარებას და ასევე სასწავლო ვიზიტებს პოლონეთის რესპუბლიკაში. პირველი სასწავლო ვიზიტი საზღვარგარეთ განხორციელდა 2021 წლის 26-30 ივლისს პოლონეთის ქალაქ ვარშავასა და გდანსკში.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს ქალაქ თელავში გაიმართება მუნიციპალიტეტების პოლონურ-ქართული საინვესტიციო ფორუმი, სადაც მუნიციპალიტეტის მერი მიიღებს მონაწილეობას და წარადგენს პოტენციური ინვესტორების წინაშე საინვესტიციო შეთავაზებას - მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის საცურაო აუზით სახით.

9 ოქტომბერს ქ. ოზურგეთში **ღვინის დღეები საქართველოში 2022** გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 6 საოჯახო მარნის წარმომადგენელმა. ჩვენმა განყოფილებამ ორგანიზება გაუკეთა მეწარმეთა ჩართულობას აღნიშნულ ღონისძიებაში

ქონების მართვის კუთხით მიმდინარე წლის 9 თვეში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები

მუნიციპალიტეტის ერთერთ ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ქონება. გამომდინარე აქედან, ქონების მართვის კუთხით სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვას, ქონების ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ მონიტორინგს.

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რაგისტრაცია.

კერძოდ: 2022 წელის 9 თვეში სამსახურზე რეზოლუციით დაწერილია, მოქალაქეებისა და სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული წერილობითი კორესპოდენციები (237 ერთეული), მომზადებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (ბრძანება - 39; განკარგულების პროექტი 5; დადგენილება - 1), გასული კორესპოდენციის რაოდენობა შეადგენს 150 ერთეულს; შიდა მიმოწერა - 50 ერთეულს. შესაბამისად სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით; დამტკიცდა საპრივატიზებო 2022 წლის ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა; მუნიციპალური ქონების შექმნის მიზნით, სხვადასხვა საჭიროებებიდან (ინფრასტრუქტურული პროექტები, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და სხვა) გამომდინარე განხორციელდა 32 ერთეული უძრავი ქონების საკადასტრო და 30 ერთეული ობიექტის შიდა აზომვითი სამუშაოების ორგანიზება. აღირიცხა და ბალანსზე გატარდა ქონება - 29 ობიექტი (ღირებულებით - 583 228 ლარი); ასევე, სამსახური განიხილავს სახელმწიფო ქონების განკარგვასთან (პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა, უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობა) დაკავშირებით შესაბამის მოსაზრებების გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აღნიშნულ პერიოდში ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალური ქონების განკარგვიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა - **62 280** ლარი, ხოლო იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალმა შეადგინა **44 723** ლარი. იჯარით გაიცა 3 ერთეული ობიექტი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება/აღრიცხვა;

- დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის კუთხით (მიწის კატეგორია; საძოვრები და სხ/სხ).
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი , მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაციის დამუშავება/შესწავლა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების, დეპუტატებისა და მოსახლეობის ჩართულობით. მოსაზრებების, ინფორმაციის გავრცელების ამსახველი ფოტომასალის და თანდართული დოკუმენტაციის განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული https://mepa.gov.ge) .

- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარუდგენს წინადადებებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვითი ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით შემუშავდა მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის ელექტრონული ვერსია (**SECAP**).

- თანამშრომლების მიერ შემუშავებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასამწვანებელი ლოკაციების ბაზა;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვითი ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით შემუშავდა მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის ელექტრონული ვერსია (**SECAP**).

სამსახური აქტიურადაა ჩართული პროექტში ,,საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia“, რომელის ორგანიზებას უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთად.

- განხორციელდა მუნიციპალიტეტის ქონების (ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები) ბაზის აღრიცხვა

  (სრული პაკეტი) ენერგო აუდიტისთვის, რომელიც ხორციელდება პოლონეთის სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით;

- ასევე, პოლონეთის სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდება 594 ქუჩის ლედსანათი 50%-ანი თანადაფინანსებით;
- განხორციელდა სათანადო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოკვლევა/შედგენა პროექტისთვის, რომელიც დაიწყო გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით - „სტრატეგიები საქართველოს რეგიონებისა და თემების მდგრადი ენერგეტიკული მომავლისთვის“. პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის მიერ და ხორციელდება პოლონეთის განახლებადი ენერგიის ინსტიტუტისა (EIO) და ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს (EECG) თანამშრომლობით.
- შემუშავების პროცესშია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა.

სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობენ სხვადასხვა მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში და ასევე ასრულებენ დებულებით გათვალისწინებულ სხვადასხვა ფუნქცია მოვალეობებს.